

**შპს „მობიტელის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F30 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიას განცხადებით მიმართა შპს „მობიტელმა“ (კომისიაში რეგისტრაციის N7/8063-16, 08.08.2016), რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F30 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის 2006 წლის 10 ნოემბრის N484/10 გადაწყვეტილების საფუძველზე შპს „მობიტელი“ ფლობს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F30 ლიცენზიას, შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) რადიოსიხშირული სპექტრი: 6620.00 მჰც, 6960.00 მჰც, 6700.00 მჰც და 7040.00 მჰც სიხშირეები ზოლის სიგანით 40 მჰც, თბილისი-ბათუმი, თბილისი-ლაგოდეხი, თბილისი-რუსთავი, კოჯორი-გუდაური და გორი-ახალციხის მონაკვეთებზე რადიოსარელო კავშირებისათვის;

ბ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2016 წლის 8 სექტემბრამდე;

გ) უზრუნველყოს შპს „მობიტელმა“ კომისიისათვის მონაცემების წარმოდგენა ამ გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტში განსაზღვრული მაგისტრალური მიმართულების მონაკვეთზე აღნიშნული სიხშირული ზოლების მონაცვლეობითი გამოყენების წესის შესახებ.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ლიცენზიის მფლობელს უფლება აქვს ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვამდე 1 თვით ადრე მიმართოს კომისიას განცხადებით ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ.

შპს „მობიტელის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F30 ლიცენზიას მოქმედების ვადა გასდის 2016 წლის 8 სექტემბერს. შესაბამისად, შპს „მობიტელის“ მიერ დაცულია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები, ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე განცხადების კომისიაში წარმოდგენასთან დაკავშირებით.

კომისია აღნიშნავს, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად:

ა) ლიცენზიის მფლობელი იხდის მისი გაგრძელების მომენტისათვის „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის“ შესაბამისად დანაწილებული იმავე რადიოსიხშირული სპექტრის სათანადო ზოლით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ბოლო 2 წლის განმავლობაში გამართულ აუქციონებზე დაფიქსირებულ საფასურთა საშუალო არითმეტიკულს;

ბ) თუ იმავე რადიოსიხშირული სპექტრის სათანადო ზოლით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადის (2 წელი) განმავლობაში არ გამართულა 2-ზე მეტი აუქციონი, ლიცენზიის მფლობელი იხდის იმავე რადიოსიხშირული სპექტრის სათანადო ზოლით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ბოლო 3 წლის განმავლობაში გამართულ აუქციონებზე დაფიქსირებულ საფასურთა საშუალო არითმეტიკულს;

გ) თუ „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის“ შესაბამისად დანაწილებული რადიოსიხშირული სპექტრის სათანადო ზოლით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ბოლო 3 წლის განმავლობაში არ გამართულა 2-ზე მეტი აუქციონი, ლიცენზიის მფლობელი იხდის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად გამართულ ბოლო 3 (ასეთის არარსებობის შემთხვევაში – ბოლო 2) აუქციონზე დაფიქსირებულ საფასურთა საშუალო არითმეტიკულს;

დ) თუ „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის“ შესაბამისად დანაწილებული რადიოსიხშირული სპექტრის სათანადო ზოლით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად გამართულია მხოლოდ 1 აუქციონი, ლიცენზიის მფლობელი იხდის ამ აუქციონზე დაფიქსირებულ საფასურს;

ე) თუ „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის“ შესაბამისად დანაწილებული რადიოსიხშირული სპექტრის სათანადო ზოლით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონი არ გამართულა, ლიცენზიის მფლობელი ლიცენზიის მოქმედების ვადის გასაგრძელებლად იხდის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად გასამართი აუქციონის საწყისი საფასურის ოდენობას, რომელიც განისაზღვრება რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულებით;

ვ) ლიცენზიის მფლობელი იხდის ასევე სალიცენზიო მოსაკრებელს.

კომისია აღნიშნავს, რომ „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-14 პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, სალიცენზიო მოსაკრებელი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიისათვის შეადგენს - 1,000.00 (ერთი ათას) ლარს. შპს „მობიტელის“ მიერ საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილია სალიცენზიო

მოსაკრებელი (1,000.00 ლარი) და კომისიაში წარმოდგენილია გადახდის დამადასტურებელი საბუთი (წერილი N6/9434-16 07.09.2016).

კომისია აღნიშნავს, რომ 2016 წლის 29 აგვისტოს კომისიამ მიმართა შპს „მობიტელს“ (წერილი №01/3277-16) და სთხოვა 2016 წლის 5 სექტემბრამდე წარმოედგინა კომისიის 2006 წლის 27 ნოემბრის №484/22 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტში განსაზღვრული მაგისტრალური მიმართულების მონაკვეთებზე აღნიშნული სიხშირული ზოლების მონაცვლეობით გამოყენების წესი და ლიცენზიით განსაზღვრულ მონაკვეთებზე რადიოსარელო სადგურების განლაგებისა და ფუნქციონირების პირობების შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

- ა) მაგისტრალური რადიოსარელო ხაზის შემადგენელ თითოეულ მონაკვეთზე რადიოსარელო სადგურების განლაგების ადგილმდებარეობა და გეოგრაფიული კოორდინატები;
- ბ) გეოგრაფიულ კოორდინატებზე განლაგებული თითოეული სადგურით გამოყენებული რადიოსიხშირის (სიხშირული წყვილების) და სიხშირული ზოლების მნიშვნელობები;
- გ) გამოყენებული ანტენების პარამეტრები და ამაზე დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან;
- დ) გადამცემის გამოსასვლელი სიმძლავრე ან ანტენიდან გასხივებული ეფექტური სიმძლავრე (e.r.p).

შპს „მობიტელმა“ მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოედგინა 2016 წლის 1 სექტემბერს (წერილის კომისიაში რეგისტრაციის N6/9196-16).

კომისია აღნიშნავს, რომ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილია კომისიის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის 2016 წლის 5 სექტემბრის სამსახურებრივი ბარათი (№შ-10/9340-16), რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F30 ლიცენზიის მოქმედების ვადის გასაგრძელებლად ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის გაანგარიშების თაობაზე. რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტი თვლის, რომ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F30 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების მიზნით, ამოწურვადი რესურსით სარგებლობის ოდენობის განსაზღვრისთვის ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტის ა), ბ), გ), და დ) ქვეპუნქტებით განსაზღვრული წესი და პირობები ვერ იქნება გამოყენებული. კერძოდ, კომისიაში არსებული ინფორმაციით და ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტის ა), ბ), გ), და დ) ქვეპუნქტებში განსაზღვრული პირობებით, ლიცენზიის გაგრძელების მომენტისთვის „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის“ შესაბამისად დანაწილებული იმავე რადიოსიხშირული სპექტრის სათანადო ზოლით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად, ბოლო სამი, ბოლო ორი ასევე ბოლო ერთი წლის განმავლობაში და ზოგადად, აუქციონი არ გამართულა შპს „მობიტელის“ მიერ მოთხოვნილი რადიოსარელო ხაზების ტექნიკური პარამეტრების (სიხშირული დიაპაზონი, გამოსაყენებელი სიხშირული ზოლის სიგანე, გეოგრაფიული კოორდინატები, მიმართულებები, სარელო ხაზის შესაქმნელი მონაკვეთების რაოდენობა) ზუსტი შესაბამისობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, დეპარტამენტის მოსაზრებით, №F30 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების მიზნით ამოწურვადი რესურსით სარგებლობის ოდენობის დადგენისთვის, მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტის ე) ქვეპუნქტით განსაზღვრული წესი:

*„ე) თუ „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის“ შესაბამისად დანაწილებული რადიოსიხშირული სპექტრის სათანადო ზოლით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონი არ გამართულა, ლიცენზიის მფლობელი ლიცენზიის მოქმედების ვადის გასაგრძელებლად იხდის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად გასამართი აუქციონის საწყისი საფასურის ოდენობას, რომელიც განისაზღვრება რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულებით;“*

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის 2016 წლის 5 სექტემბრის სამსახურებრივი ბარათის (№შ-10/7676-16) თანახმად, შპს „მობიტელის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციის (წერილი კომისიაში რეგისტრაციის (№შ-6/9196-16, 01.09.16) შესაბამისად გათვლილ იქნა (თან ერთვის) ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის ოდენობა, რაც **220,752.00** ლარს შეადგენს.

კომისია აღნიშნავს, რომ 2016 წლის 7 სექტემბრის სხდომას ესწრებოდა შპს „მობიტელის“ უფლებამოსილი წარმომადგენელი ირაკლი ესართია. კომპანიის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა დაადასტურა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F30 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისთვის, ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის **220,752.00** ლარის საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში, კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში (ერთ თვეში), გადახდაზე მზადყოფნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-5 პუნქტის ე) ქვეპუნქტის, „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-14 პუნქტის დ) ქვეპუნქტის, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის N13 დადგენილებით დამტკიცებული „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების“ და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 30 ივნისის N6 დადგენილებით დამტკიცებული „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის“ შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

**გადაწყვიტა:**

1. გაუგრძელდეს მოქმედების ვადა შპს „მობიტელის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F30 ლიცენზიას 2016 წლის 8 სექტემბრიდან 10 წლის ვადით შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) რადიოსიხშირული სპექტრი:

N	ადგილი და კოორდინატები		RF-ზოლი	გადამცემის სიმძლავრე	სიხშირეები	
	A	B			A	B
			MHz	W	MHz	MHz
1	დუშეთი სატელევიზიო 42°00'07.40"C 44°39'24.10"B	თბილისი ასს 95 41°42'47.00"C 44°47'55.00"B	40	1	6620	6960
	დუშეთი სატელევიზიო 42°00'07.40"C 44°39'24.10"B	თბილისი ასს 95 41°42'47.00"C 44°47'55.00"B	40	1	6700	7040
2	გორი სატელევიზიო 42°01'56.10"C 44°02'53.40"B	დუშეთი სატელევიზიო 42°00'07.40"C 44°39'24.10"B	40	1	6960	6620
	გორი სატელევიზიო 42°01'56.10"C 44°02'53.40"B	დუშეთი სატელევიზიო 42°00'07.40"C 44°39'24.10"B	40	1	7040	6700
3	საბოეთი სატელევიზიო 42°02'02.10"C 43°28'29.30"B	გორი სატელევიზიო 42°01'56.10"C 44°02'53.40"B	40	1	6620	6960
	საბოეთი სატელევიზიო 42°02'02.10"C 43°28'29.30"B	გორი სატელევიზიო 42°01'56.10"C 44°02'53.40"B	40	1	6700	7040
4	ვახანი სატელევიზიო 41°57'23.00"C 43°20'32.00"B	საბოეთი სატელევიზიო 42°02'02.10"C 43°28'29.30"B	40	1	6960	6620
	ვახანი სატელევიზიო 41°57'23.00"C 43°20'32.00"B	საბოეთი სატელევიზიო 42°02'02.10"C 43°28'29.30"B	40	1	7040	6700
5	ალავერდი სატელევიზიო 42°03'34.91"C 43°03'41.02"B	ვახანი სატელევიზიო 41°57'23.00"C 43°20'32.00"B	40	1	6620	6960
	ალავერდი სატელევიზიო 42°03'34.91"C 43°03'41.02"B	ვახანი სატელევიზიო 41°57'23.00"C 43°20'32.00"B	40	1	6700	7040
6	ქუთაისი სატელევიზიო 42°16'47.00"C 42°44'11.00"B	ალავერდი სატელევიზიო 42°03'34.91"C 43°03'41.02"B	40	1	6960	6620
	ქუთაისი სატელევიზიო 42°16'47.00"C 42°44'11.00"B	ალავერდი სატელევიზიო 42°03'34.91"C 43°03'41.02"B	40	1	7040	6700

7	სენაკი სატელევიზიო 42°17'23.70"C 42°03'27.70"B	ქუთაისი სატელევიზიო 42°16'47.00"C 42°44'11.00"B	40	1	6620	6960
	სენაკი სატელევიზიო 42°17'23.70"C 42°03'27.70"B	ქუთაისი სატელევიზიო 42°16'47.00"C 42°44'11.00"B	40	1	6700	7040
8	ფოთი სატელევიზიო 42°11'15.70"C 41°42'02.90"B	სენაკი სატელევიზიო 42°17'23.70"C 42°03'27.70"B	40	1	6960	6620
	ფოთი სატელევიზიო 42°11'15.70"C 41°42'02.90"B	სენაკი სატელევიზიო 42°17'23.70"C 42°03'27.70"B	40	1	7040	6700
9	მწვანე კონცხი 41°41'09.76"C 41°43'25.62"B	ფოთი სატელევიზიო 42°11'15.70"C 41°42'02.90"B	40	1	6620	6960
	მწვანე კონცხი 41°41'09.76"C 41°43'25.62"B	ფოთი სატელევიზიო 42°11'15.70"C 41°42'02.90"B	40	1	6700	7040
10	ლაგოდეხი სატელევიზიო 41°48'45.48"C 46°10'14.68"B	სანავარდო სატელევიზიო 41°54'20.97"C 45°49'47.70"B	40	1	6960	6620
	ლაგოდეხი სატელევიზიო 41°48'45.48"C 46°10'14.68"B	სანავარდო სატელევიზიო 41°54'20.97"C 45°49'47.70"B	40	1	7040	6700
11	სანავარდო სატელევიზიო 41°54'20.97"C 45°49'47.70"B	თელავი თურდო 41°55'56.80"C 45°27'44.50"B	40	1	6620	6960
	სანავარდო სატელევიზიო 41°54'20.97"C 45°49'47.70"B	თელავი თურდო 41°55'56.80"C 45°27'44.50"B	40	1	6700	7040
12	თელავი თურდო 41°55'56.80"C 45°27'44.50"B	ცივის მთა 41°52'16.95"C 45°24'33.30"B	40	1	6960	6620
	თელავი თურდო 41°55'56.80"C 45°27'44.50"B	ცივის მთა 41°52'16.95"C 45°24'33.30"B	40	1	7040	6700
13	ცივის მთა 41°52'16.95"C 45°24'33.30"B	თბილისი კოჯორი 41°40'11.90"C 44°41'17.10"B	40	1	6620	6690
	ცივის მთა 41°52'16.95"C 45°24'33.30"B	თბილისი კოჯორი 41°40'11.90"C 44°41'17.10"B	40	1	6700	7040
14	თბილისი კოჯორი 41°40'11.90"C 44°41'17.10"B	თბილისი კომპუტატორი 41°47'26.00"C 44°45'54.00"B	40	1	6960	6620
	თბილისი კოჯორი 41°40'11.90"C 44°41'17.10"B	თბილისი კომპუტატორი 41°47'26.00"C 44°45'54.00"B	40	1	7040	6700
15	სანავარდო სატელევიზიო 41°54'20.97"C 45°49'47.70"B	დარჩეთი 41°41'35.00"C 45°42'49.80"B	40	1	6620	6960

	სანავარდო სატელევიზიო 41°54'20.97"C 45°49'47.70"B	დარჩეთი 41°41'35.00"C 45°42'49.80"B	40	1	6700	7040
16	კაჭრეთი ელევატორი 41°38'15.80"C 45°41'26.50"B	დარჩეთი 41°41'35.00"C 45°42'49.80"B	40	1	6620	6960
	კაჭრეთი ელევატორი 41°38'15.80"C 45°41'26.50"B	დარჩეთი 41°41'35.00"C 45°42'49.80"B	40	1	6700	7040
17	ბადიაური 41°38'09.60"C 45°32'52.50"B	კაჭრეთი ელევატორი 41°38'15.80"C 45°41'26.50"B	40	1	6620	6960
	ბადიაური 41°38'09.60"C 45°32'52.50"B	კაჭრეთი ელევატორი 41°38'15.80"C 45°41'26.50"B	40	1	6700	7040
18	საგარეჯო 41°43'40.00"C 45°17'21.90"B	ბადიაური 41°38'09.60"C 45°32'52.50"B	40	1	6960	6620
	საგარეჯო 41°43'40.00"C 45°17'21.90"B	ბადიაური 41°38'09.60"C 45°32'52.50"B	40	1	7040	6700
19	გომბორი 41°41'50.09"C 45°05'33.21"B	საგარეჯო 41°43'40.00"C 45°17'21.90"B	40	1	6620	6960
	გომბორი 41°41'50.09"C 45°05'33.21"B	საგარეჯო 41°43'40.00"C 45°17'21.90"B	40	1	6700	7040
20	გომბორი 41°41'50.09"C 45°05'33.21"B	მახათა 41°42'38.80"C 44°49'46.62"B	40	1	6620	6960
	გომბორი 41°41'50.09"C 45°05'33.21"B	მახათა 41°42'38.80"C 44°49'46.62"B	40	1	6700	7040
21	თბილისი კომუტატორი 41°47'26.00"C 44°45'54.00"B	მახათა 41°42'38.80"C 44°49'46.62"B	40	1	6620	6960
	თბილისი კომუტატორი 41°47'26.00"C 44°45'54.00"B	მახათა 41°42'38.80"C 44°49'46.62"B	40	1	6700	7040
22	რუსთავი სასტუმრო 41°33'43.00"C 44°58'40.00"B	თბილისი ტექსტილის ფაბრიკა 41°39'58.00"C 44°54'26.00"B	40	1	6960	6620
	რუსთავი სასტუმრო 41°33'43.00"C 44°58'40.00"B	თბილისი ტექსტილის ფაბრიკა 41°39'58.00"C 44°54'26.00"B	40	1	7040	6700
23	თბილისი კოჯორი 41°40'11.90"C 44°41'17.10"B	გუდაური სატელევიზიო 42°29'18.30"C 44°30'00.80"B	40	1	6960	6620
	თბილისი კოჯორი 41°40'11.90"C 44°41'17.10"B	გუდაური სატელევიზიო 42°29'18.30"C 44°30'00.80"B	40	1	7040	6700

24	გუდაური სატელევიზიო 42°29'18.30"C 44°30'00.80"B	ყაზბეგი სატელევიზიო 42°39'24.00"C 44°39'09.70"B	40	1	6620	6960
	გუდაური სატელევიზიო 42°29'18.30"C 44°30'00.80"B	ყაზბეგი სატელევიზიო 42°39'24.00"C 44°39'09.70"B	40	1	6700	7040
25	ხაშური სატელევიზიო 42°00'25.70"C 43°33'13.10"B	გორი სატელევიზიო 42°01'56.10"C 44°02'53.40"B	40	1	6620	6960
	ხაშური სატელევიზიო 42°00'25.70"C 43°33'13.10"B	გორი სატელევიზიო 42°01'56.10"C 44°02'53.40"B	40	1	6700	7040
26	ბორჯომი სატელევიზიო 41°49'24.87"C 43°22'57.86"B	ხაშური სატელევიზიო 42°00'25.70"C 43°33'13.10"B	40	1	6960	6620
	ბორჯომი სატელევიზიო 41°49'24.87"C 43°22'57.86"B	ხაშური სატელევიზიო 42°00'25.70"C 43°33'13.10"B	40	1	7040	6700
27	ახალციხე სატელევიზიო 41°37'49.50"C 42°57'33.20"B	ბორჯომი სატელევიზიო 41°49'24.87"C 43°22'57.86"B	40	1	6620	6960
	ახალციხე სატელევიზიო 41°37'49.50"C 42°57'33.20"B	ბორჯომი სატელევიზიო 41°49'24.87"C 43°22'57.86"B	40	1	6700	7040

ბ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2026 წლის 8 სექტემბრამდე;

გ) უზრუნველყოს ლიცენზიის მფლობელმა წინამდებარე გადაწყვეტილების პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტით განსაზღვრული რადიოსიხშირული ზოლის გამოყენება კომისიის 2006 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებით დამტკიცებული "რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის" შესაბამისად.

2. რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F30 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისთვის ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასური განისაზღვროს - **220,752.00** (ორასოცი ათას შვიდასორმოდათორმეტი და 00) ლარით.

3. უზრუნველყოს შპს „მობიტელმა“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F30 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისთვის, ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის **220,752.00** ლარის საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდა, წინამდებარე გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, შემდეგი რეკვიზიტებისა და გრაფიკის მიხედვით:

-მიმღები- ხაზინის ერთიანი ანგარიში-ა/ა-N200122900

-ბანკი-სახელმწიფო ხაზინა

-ბანკის კოდი-TRESGE22

-საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი-N300773402

4. შპს „მობიტელი“ ვალდებულია წინამდებარე გადაწყვეტილების მე-2 პუნქტში აღნიშნული თანხის საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები კომისიას წარმოუდგინოს გადახდიდან 3 სამუშაო დღის ვადაში;

5. ლიცენზიის მფლობელის მიერ წინამდებარე გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის, საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში გადაუხდელობის შემთხვევაში, კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას წინამდებარე გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან ძალადაკარგულად გამოცხადებისა და რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F30 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებაზე უარის თქმის შესახებ;

6. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს:

ა) სათანადო მონაცემების კომისიის სალიცენზიო რეესტრში შეტანა (ნ.ლორთქიფანიძე);

- ბ) ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე ინფორმაციის სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ და ფინანსთა სამინისტროში გაგზავნის უზრუნველყოფა (მ. ქადეიშვილი);
- გ) სალიცენზიო მოწმობის გაცემის უზრუნველყოფა (ნ.ლორთქიფანიძე).
- დ) აღნიშნული გადაწყვეტილების შპს მობიტელისთვის“ გაგზავნა (ნ.ჯავახიძე).
7. გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ძალაში შევიდეს კომისიის სხდომაზე გამოქვეყნებისთანავე;
8. გადაწყვეტილება (პირველი პუნქტის გარდა) ძალაში შევიდეს შპს მობიტელისთვის“ მისი დამოწმებული ასლის ჩაბარებისთანავე;
9. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N6) ერთი თვის ვადაში;
10. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების პირველი პუნქტის შესრულებაზე (გარდა ბ) ქვეპუნქტისა) დაევალოს კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტს (ს.შავგულიძე);
11. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების მე-3 და მე-4 პუნქტების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის საფინანსო დეპარტამენტს (ნ. დევდარიანი);
12. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების (პირველი პუნქტის ა), ბ) და დ) ქვეპუნქტების, მე-3 და მე-4 პუნქტების გარდა) შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ი.ხარებავა).

კომისიის თავმჯდომარე  
კომისიის წევრი  
კომისიის წევრი  
კომისიის წევრი

ვახტანგ აბაშიძე  
ელისო ასანიძე  
გიორგი ფრუიძე  
მერაბ ქათამაძე